№ 230 ოქტომბერი 29, კვირა 1889 ოქტომბერი 29, კვირა № 230

# ივერია



| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 65 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აკჰდლის ქუჩა, თ. ვარაზოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასა თავად-აზნაურთ ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889




1890 წ. იანვრის თვიდგან

ქ. ტფილისში

გამოიცემა, ორ თვეში ერთხელ, საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-მდე გვერდი დიდის ფორმატისა.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობისა და შესანიშნავ კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, ამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო პოეტებმა და მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის-მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით და მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8).

2) ქუთაისში—ექ. ნიკოლაძისას.

3) გორში—ექ. ფურცელაძისას.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

(2—1) რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა

---

ქართული საკვირაო გაზეთი

## „თეატრი“

მომავალ 1890 წლის იანვრის თვიდამ გაზ. „თეატრი“ გამოვა ახალ თანამშრომლების მონაწილეობით. რედაქცია ყოველ გვარ ღონისძიებას მოიხმარს, რომ თავისი გაზეთი გააუმჯობესოს როგორც შინაგანის, აგრეთვე გარეგანის მხრით.

გაზ. „თეატრის“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლით | 5 მან. | თვიურად | 1 მან. |
| ნახევარ წლით | 3 „ | თითო ნომერი | 15 კაპ. |

ხელის მოწერა მიიღება ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Книжный магазинъ Чарквіани, Роману Панцхава.


### წლიური საერთო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-ისა, დანიშნულია ამ წლის ნოემბრის 5, დილის 10 საათზედ, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1888 წლის 1-ლ სექტემბრიდგან 1889 წლის 1-ლ სექტემბრამდე.

ბ) მოხსენება საეარაუდო ხარჯთაღრიცხვაზე 1889—1890 წლისათვის და

გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.



### ქართული თეატრი

სამშაბათს, 31 ოქტომბერს,

ქართულის თეატრის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

გზა-დაკარგულნი (ცხოვარნი)

(Le pecorelle smarite)

კომედია 4 მოქმედებად, თხზ. ტეობალდო ჯიკონისა.

II

## ოინბაზი

ვოდევილი 1 მოქ., ა. ცაგარლისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, აბაშიძისა, მელიქიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, ცაგარელი, გედევანიშვილი, კანდელაკი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე

### მასწავლებელი

გ. ნ— მე იოსელიანი

ამზადებს ყმაწვილებს ყოველ გვარის სასწავლებლისთვის და აგრეთვე თავის ნებით შემსვლელებს სამხედრო სამსახურში (вольноопредѣляющихся).

კუკია, კოჩუბეის ქუჩა, № 19.

(3—3)


ტფილისი, 28 ოქტომბერი

ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდებოდა ბერლინში და ორმა იმპერატორმა ერთმანეთი ინახულეს. გაზეთები გვარწმუნებენ, რომ ამ ერთმანეთის ნახვას კარგი შედეგი მოჰყვაო და ცოტა არ იყოს გერმანიასა და რუსეთ შორის აშლილობა და გულგრილობა განელდა და დაწყნარდაო. არ ვიცით,— რაოდენად მართ[illegible], ეს-კი აშკარაა, რომ ამ ორ ძლიერთა იმპერატორთა ერთად შეყრამ შეაფუცხუნა ავსტრია და იტალია, რომელნიც გერმანიასთან ერთად შეადგენენ ეგრედ წოდებულს კავშირს მშვიდობიანობის დაცვისას. ესეც უნდა მომხდარიყო, იმიტომ-რომ გერმანია ისე ვერ გაისწორებს საქმეს რუსეთთან, რომ იტალია და ნამეტნავად ავსტრია ცოტად, თუ ბევრად არ გასწიროს. რუსეთსა და ავსტრიას მოურიგებელი და ერთმანეთში გაუთავებელი საქმე აქვთ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ და თუ რუსეთმა გული აიყარა გერმანიაზედ, მარტო იმის გამო, რომ აქ გერმანია ავსტრიას უფრო ხელს უწყობდა, ვიდრე რუსეთს. ეხლა რაკი გაზეთები გვარწმუნებენ, რომ იმპერატორთა ერთმანეთის ნახვის შემდეგ გერმანია და რუსეთი ხელ-ახლად მოუტკბილდნენ ერთმანეთსაო, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გერმანიამ რუსეთისაკენ გადიწია ბალკანეთის საქმეთა გამო. უამისოდ წინანდელი მიზეზი სამდურავისა თავიდამ მოშორებული არ იქმნება და, მაშასადამე, მოტკბილებაც წარმოუდგენელია.

თუ ესეა, რაღა თქმა უნდა, ავსტრიას ყურები უნდა ეცქვიტანა და იტალიასაც უნდა თვალები დაეჭყიტა, რადგანაც არც იტალიაა უიმისოდ, რომ პოლიტიკის [illegible] ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ ცოტად თუ ბევრად არ შეეხოს იტალიის ინტერესებსა. იტალიასაც აქ თვალი უჭირავს, რომ რასმეს გამორჩეს ბალკანეთის საქმეთა მირევ-მორევას. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ გარემოებამ აიძულა იტალიის მთავარ-მინისტრი კრისპი და ავსტრიისა—კალნოკი, რომ ბისმარკი ინახულონ და პირდაპირ მოელაპარაკონ აწინდელ საქმეთა მდგომარეობასა და მსვლელობაზედ. თუ ის ამბავი მართალია, რომ გერმანია და რუსეთი ტოლად თუ ბევრად შეუწყნარდნენ ერთმანეთს,

---

# ფელეტონი

### გოდება

I

ცრემლში ნალესი ნაღველი
მინდა, რომ მელნად ვიხმარო;
საწერლად მივსცე გლახ გული,
ფრთა კალმად აღარ ვიკმარო!

—

მის ნაცვლად ენა ჩავუწო,
საწყერ-მახვილო ის არი!..
ხან სამკურნალო მალამო,
ხან სასიკვდილო ისარი.

—

თავ-განწირულად პირდაპირ
შევეჭიდები ქვეყანას!..
რას მომცემს, ან რას წამართმევს,
გული რომ დამწყდეს მისთანას?

—

მას შემდეგ, რაც მე კაცადი
გამიზომ-ამიწონია,
ყოველი მისი დიდება
სულ სათვალთმაქცო მგონია,

—

ვხედავთ, რომ ქვეყნის ბყოლით
გვჭირს სოფლისავე მონება;
სხვისი თვალი და ყურია
ჩვენი გრძნობა და გონება!..

—

ორივე ღმერთმა მაშოროს,
სხვისი თვალიც და ყურიცა!
მაშოროს სხვაზე უფლება
და სხვისი სამსახურიცა.

—

სჯობს ისე დავრჩე, რაცა ვარ
და დღემდი როგორც ვყოფილვარ…
შიშველი წავალ იმ სოფლად,
აქაც ხომ ისე ვშობილვარ?

—

არ მივიმადლებ, არ მინდა
მამა-პაპური წყალობა…
სამცონარეო დიდება
და მათი ჩამომავლობა!

—

ლონიერია სოფელი,
სარბიელი აქვს საცადი;
ყოველიფერს თვითვე მოიმკის,
თუ ვარგა კაცად-კაცადი.

—

მაგრამ გულ-ხარბი ქმნილება
უზომო, უმაძღარია;
აღარ სჯერდება სამყოფსა
და მეტის მაძებარია.

—

ხან იმას ეძებს, ხან ამას,
სურვილი მრავალ-გვარია!..
ხან სიტკბოს ჰპოებს ნაღველში,
ხან მისთვის თაფლიც მწარია.

—

მე არ ვარ ბევრის მძებნელი,
ცოტაც არ მომყირჭებია,
და მხოლოდ იმას ვსჯერდები,
რაც ზეცით მომნიჭებია.

—

„შენი ქება და დიდება
შენი ლხინი და ჭირიო,
მაღლიდგან გადმომძახეს:
ქამანჩაა და სტვირიო.

—

„სული და გული შიგ ჩასდევ,
ხელში აიღე მალეო;
ნუ სდევ უკუღმართ ცხოვრებას!
გაშორდი… გაეცალეო!..

—

„გეტირებოდეს—იტირე,
იშვებდე—გაიცინეო!
იშრომე!.. დაიღალები?
დასწექ და დაიძინეო!

—

«სხვების მაყოლით… მიბაძვით
არ გადაადგა ბიჯიო!..
შენ რას დაეძებ, დაგძრახონ
და დაგიძახონ გიჟიო?!.

—

«შენ მხოლოდ ნუ მოშორდები,
იმ შენ ქამანჩა-სტვირსაო!..
თუ შენვე არ უღალატებ,
ის არ გაგიტეხს პირსაო,

—

«კუბოს კარამდე მიგყვება,
ვით ძმას და მეგობარსაო,
და რომ მოკვდები, შენს ამბავს
გადასცემს მთა და ბარსაო!»

—

გულში ჩამეჭრა ეს სიტყვა
კანონებად და რჯულადა,
და შემდეგ ჩემი ცხოვრება
მიდის სულ კრიმანჭულადა.

—

მისის შვენების მნახველი
მხოლოდ გონების თვალია!..
კვალში ჩავუდგეთ! ვეძიოთ!
ვიპოვოთ, ჩვენი ვალია!..

—

„ეძიებდეთ და ჰპოებდეთ!“
მაცხოვარია რომ ბრძანებს…
წამის მიმყოლი პირადად
საუკუნოებს ინანებს!..

—

ეგები მითხრან: რას ჰბოდავ?
და ან ვინ გაგიგონებსო?
შენი მხილება რას არგებს
დღეს გულ-გატეხილ მონებსო?..

—

მე რაღა მეთქმის ჩემ თავად,
დატვირთულს ქვეყნის ჭირითა?
და პასუხს ვაგებ მათ მხოლოდ
პატარა ფუტკრის პირითა:

—

„თაფლს ცოცხლებისთვის ვამზადებ,
მკვდრებისთვის წმინდა სანთელსო,
და ვაკავშირებ ორ სოფლის
სიტკბოებას და ნათელსო!

—

„მაგრამ არავის ვუყვარვარ,
თუ არ რჩეულსა, ზენარსო,
და მეძახიან ბზუილას
უსაქმურსა და მკბენარსო,

—

„ღმერთი ხომ ჰხედავს, პირ-იქით
რომ ვარ მე უწყინარიო,
მხოლოდ პირ-აქეთ მომსვლელზე
ფარ-გვარად მოისარიო?

—

მეც ამ ფუტკრის ვარ მიმყოლი!
ეს არის ჩემი მოძღვარი,
და ჩემს გულს გაკერპებულსა
არ დაედება საზღვარი!

—

თუ არ სიკვდილით… სიცოცხლით
ვერვინ შემიშლის ბოდვასა
და გამოვიტან საქვეყნოდ
დაფარულს მადლს და ცოდვასა.

—

ვიცით, რომ ჩვენი ქვეყანა
ღვთის-მშობლის წილ-ნახვედრია,
ქალწულ დედისგან ნაკურთხი
ძისადმი შენავედრია!

—

აქ ნინო, თამარ, ქეთევან
სამარადისოდ ქებულან;
დედათ გვირგვინად ზეგარდმო
კურთხევით გაბრწყინვებულან.

—

აქ ჩვენი ძველი დედებიც
სამაგალითო ყოფილან:
ქვეყნისთვის თავი დაუდევსთ,
რადგანაც მისთვის შობილან!

—

გამოუზრდიათ გმირები
სამშობლოს მსხვერპლად, ზვარაკად,
და მით გვაძლევენ მაგალითს,
თითქოს, ზღაპრად და არაკად!

—

დიდება იმათ დედობას!
დიდება იმათ სახელსა!..
იმათ სხივებზე დღეს ჩვენში
ქალი თვალს ველარ ახელსა!

—

ვერ ახელს მიტომ, რომ სხვა მხრით
უჭირავს შემცდარს თვალები…
და უნდა ღირსად შევამკოთ
ჩვენც დღევანდელი ქალები.

აკაკი

რა თქმა უნდა, თ. ბისმარკის ეხლანდელი ყოფა კრისპისა და კალნოკის წინაშე ორ წყალ შუა დგომას ეგვანება. ბატონობა ევროპაში გერმანიისა, რომელიც ბისმარკმა აკისრებინა ავსტრიასა და იტალიას, როგორც თავის ყურ-მოჭრილ ყმებს, არც უიმისოა, რომ ამ კისრად ადების სამაგიეროდ არ დაჰპირებოდა ერთსაცა და მეორესაც რისამე გამორჩენას.

ავსტრია, ნება-უნებურად ბალკანეთისაკენ პირ-მიქცეული, უიმისოდ ვერ გასძლებს, რომ ბალკანეთი არ იყოლიოს, თუ არ თავის ბძანებლობის, ზედ-მოქმედების ქვეშ მაინცა. თუმცა ამ ბოლოს დროს ავსტრიას პატარა ხელი შეეშალა სერბიაში, რომელმაც თითქო რუსეთისაკენ უფრო გადიწია, მაგრამ მის სამაგიეროდ გავლენა ავსტრიისა გაძლიერდა ბოლგარიაში. საქმე ეხლა იმაშია, ამ გაძლიერებას ხელს შეუწყობს ბისმარკი, თუ არა, არ შეუწყობს-და, რით-და მოუგებს გულს ავსტრიასა, ურომლისობა თითქმის ისეთივე დანაკლისია გერმანიისათვის, როგორც რუსეთის განზე ყოფნა. ავსტრიასაც, იმის მიუ[illegible] რომ [illegible] გერმანიასთან, ადვილად შეუძლიან ხელი გაუწვდინოს საფრანგეთსა, რომლის შიშით თ. ბისმარკი ასე სცდილობს მომხრეები და მეშველნი მოიკრიბოს ევროპაში. ამ შემთხვევაში, ვინ იცის, იქნება ავსტრიის გადგომა უფრო საშიშარი იყოს გერმანიისათვის, ვიდრე სხვისა ვისიმე, რადგანაც ავსტრია შიგ პირში უდგა გერმანიას და თითქმის გერმანიის საზღვრებში შიგ შეჭრილია და შესულია. ამ სახით, უეჭველია, რომ კალნოკი და ბისმარკი საუბარს გამართვენ და არც უიმისობა იქნება, რომ თითონ კრისპიმაც ამაზედვე არ ჩამოაგდოს ლაპარაკი, რადგანაც ბალკანეთში ავსტრიის, თუ რუსეთის გაწევ-გამოწევა შეატოკებს საზღვრებს ოსმალეთისას და ეს შეტოკება კიდევ გააძლიერებს დიდის ხნის მადას იტალიისას გამორჩეს რასმეს ადრიატიკის ზღვის პირებზედ, რომლის დასავლეთი მხარე იტალიისაა და ჩრდილო-აღმოსავლეთისა ავსტრიას უჭირავს და სამხრეთ-აღმოსავლეთისა ოსმალეთისა.

როგორ გაუძღვება თ. ბისმარკი ცალკე რუსეთს, ცალკე ავსტრიას და ცალკე იტალიას, რომელთაც ერთმანეთში არამც თუ საერთო რამე აქვსთ, პირ-იქით, რაც ერთისათვის სახეიროა, ის მეორესა და მესამესათვის საწყენია და საზიანო, როგორ გაუძღვება მაშინ, როდესაც გერმანიისათვის ისე საჭიროა,—რუსეთთანაც კარგად ყოფნა, ავსტრიასთანაც და იტალიასთანაც. რასაკვირველია, თ. ბისმარკი—ეს გენიოსი კაცი გერმანიისა—მეტის-მეტად მოხერხებულია ყოველ ამისთანებში, მაგრამ მოხერხებასაც თავისი საზღვარი აქვს, რომელს იქით ყოველივე შემძლებელობა ადამიანისა უქმია. ჩვენის ფიქრით, ზემოხსენებული ამბავი, ნაუწყი გაზეთებისაგან, დასაჯერი არ არის და ნათქვამია მარტო იმისათვის, რომ ჯერ ხანად საჭიროა მაგისი თქმა, რადგანაც უიმისოდ გერმანიას, ცოტა არ იყოს, აბრუ გაუტყდებოდა ევროპაში. უეჭველია, კრისპი და კალნოკი, ბისმარკს შეხვდებიან თუ არა, პირდაპირ დაუყენებენ საპასუხოდ ამ საკითხს: ჰო, თუ არა. ისიც უეჭველია, რომ ბისმარკი ჰოს უფრო იტყვის, ვიდრე არასა და ამით გამოისტუმრებს ორსავ სახელმწიფო მინისტრებს, ხოლო ამ შემთხვევაში ამ არა ერთხელ თქმულ ჰოსათვის გულ-დასაჯერებელს საბუთს მოსთხოვენ და ცარიელს სიტყვას აღარ დასჯერდებიან.

## ახალი ამბავი

⁂ 27 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, ახლად ნება-დართულ საყმაწვილო ჟურნალ «ჯეჯილის» რედაქტორის სახლში პირველი კრება იყო თანამშრომელებისა. ამ კრებაზედ მოილაპარაკეს, როგორ უფრო უკეთესი იქნება, რომ ვაწარმოვოთ ჟურნალის საქმეო. სხვათა შორის რედაქტორმა ან. თუმანიშვილისამ გამოაცხადა, რომ თანარედაქტორია საჭირო ჟურნალის კარგად წარმოებისათვისაო. ეტყობა, ამ ჟურნალის საქმე კარგად იქნება მოწყობილი და, იმედია, დიდს ხანსაც იცოცხლებს. ჯერ ერთი, რომ ჟურნალში მიიღებენ მონაწილეობას ჩვენი საუკეთესო მწერალნი, და მეორე, რომ, როგორც ეტყობა, ქ-ნი თუმანიშვილისა არავითარს ხარჯს არ ერიდება ჟურნალის უკეთესად წარმოებისათვის. ყდის სურათი უკვე გაგზავნილია პეტერბურგში ამოსაჭრელად. პირველი ნომერი 1-ლს იანვარს გამოვა. თუ მივიღებთ მხედველობაში ჟურნალის მცირე ფასს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბევრი ხელის-მომწერელი ეყოლება ამ ახალს ჟურნალს.

⁂ დიდის ყურადღების ღირსია ის ფიცრის ქოხი, რომელსაც ამ თვეის 25 წაუკიდეს ცეცხლი და არ დაიწვა. ეს ქოხი კავკასიის სამეურნეო გამოფენაზე ააგო კაპიტანმა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძემ ლირკუმოვმა, რომელსაც სულ 18—19 მანეთი დაუჯდა. ამ ქოხის კედლები და ჭერი ფიცრისაა, ხოლო ზედ წასმულია თხელი თიხა. სახურავიც ამ ქოხს ჩალისა აქვს, რომელსაც, როგორც ზემოდგან, აგრეთვე ქვემოდგან, მოუკიდეს ცეცხლი და არ დაიწვა. ამ გვარს დაუწველს სახურავს აი როგორ აკეთებენ: იღებენ ჩალას და რამ სიგანეც უნდათ, იმ სიგანესა სწნავენ, მერე ამ დაწნულს ჩალას ორმოში სდებენ, ზედ ასხამენ თხლად წყალში გახსნილს თიხას, შეადგებიან და ჰზელავენ ფეხებით იმ დრომდე, ვიდრე შიგ არ გაუჯდება თიხა. როდესაც თიხა გაუჯდება ჩალას, იღებენ ორმოდგან, აშრობენ და მერე ამით ჰხურავენ ქოხს. წვიმამ ზემოდგანაც რომ ჩამოჰრეცხოს თიხა, შიგ შუაში მაინც კიდევ რჩება და ნარჩენი არც წყალს გაიდენს და არც ცეცხლს იკარებს. ამ გვარი სახურავები ქოხებს მარტო ზაქათალის ოლქში აქვთ და სხვაგან-კი ლერწმის სახურავებს უკეთებენ, რომელმაც წუმწუმის მიახლოვებისათანავე იცის ხოლმე წამობრიალება.

⁂ გუშინ ფორკატის საოპერეტო დასმა წარმოადგინა სამ-მოქმედებიანი ოპერეტი „აფრიკაში მოგზაურობა“. ამ ოპერეტს არა უჭირს-რა, შინაარსით თუმცა ვერაფერია, მაგრამ მოწყობილობა და ზოგიერთ ალაგას მუსიკა მშვენიერი აქვს. საზოგადოება თეატრში ნაკლებად დაესწრო. მოთამაშეებში განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს ქ-ნმა რატმიროვისამ და ბ-ნმა ლოდიმ. ესევე ოპერეტი წარმოდგენილი იქნება კვირას, 29 ოქტომბერს.

⁂ გუშინ შტაბის შენობაში შესდგა კრება ტფილისის გეოგრაფიულ საზოგადოებისა. ბ-ნმა დინნიგმა კრებას წაუკითხა ვრცელი მოხსენება ბ-ნ რადდეს წიგნის „Птицы Кавказа“-ს შესახებ. ლექტორი ამტკიცებდა, რომ ამ წიგნში ბევრი შეცდომაა არის და თითონ წიგნსაც ის სახელი ჰქვიან, რა სახელიც არ უნდა ერქვას შინაარსის მიხედვითაო. მაგალითებრ, წიგნში უმეტესი ნაწილი უჭირავს უცხო ქვეყნების ფრინველთა აღწერას და გვიკვირს ავტორს რად უწოდებია ამისთანა წიგნისთვის „Птицы Кавказа“-ო. შემდეგ დაასახელა აგრეთვე მრავალი შეცდომა, რომელიც რადდეს შეჰპარვია შესახებ ფრინველთა ზნე-ცხოვრებისა, აგებულებისა და სხვა და სხვა. ბ-ნი რადდე ამბობსო, რომ გაზაფხულს მოფრენილნი ფრინველნი რუსეთისკენ მიემგზავრებიან მხოლოდ კასპიისა და შავის ზღვის ნაპირებიდამაო, მაშინ-როდესაც ეს ფრინველნი მრავლად გადადიან რუსეთს კავკასიის ქედის ღელეებიდამაცაო. ბ-ნს რადდეს კავკასიის ყველა ადგილის ფრინველები ვერ შეუსწავლიაო, სრულიად არა ყოფილა ჩრდილოეთს კავკასიაში და ამიერ-კავკასიის ფრინველნიც ყველგან არ გამოუწვლილებიაო. იმისი ცნობები უფრო შეეხება ამიერ-კავკასიის ფრინველთა და ისიც არა ყველა კუთხისას, არამედ მარტო ტფილისის მაზრისას, ანუ მის არე-მარესას. იმავე რადდეს შრომის შესახებ რამდენიმე რამ შენიშნა საზოგადოების საქმის მწარმოებელმა ლ. პ. ზაგურსკიმ. რადდეს, როგორც სჩანს იმის წიგნიდამ, კავკასიის გეოგრაფია ნაკლებად ჰქონია შესწავლილიო. რადდე იალბუზის შემდეგ კავკასიის ქედის უმაღლესს მწვერვალად სთვლის მყინვარსაო, მაშინ-როდესაც მყინვარს უმაღლესს მწვერვალთა შორის მეოთხე ადგილი უჭირავსო. იგი ამბობს, რომ ვითომ მყინვარი კავკასიის უმაღლესს ქედზედ მდებარეობსო, მაშინ-როდესაც იგი იმის განის ტოტზეა ამართულიაო და სხ. კრება დაიშალა 10 საათზედ.

⁂ 26 ოქტომბრის ღამეს, ექიმ კუკუჯანოვის სახლში, პუშკინის ქუჩაზედ, გაჩნდა ცეცხლი, რომელიც მოჰკიდებოდა სახლის კოჭს. ცეცხლი უსათუოდ წაეკიდებოდა ჭერს, დროზე რომ არ შეემჩნიათ და არ ჩაექროთ. სახლი დაზღვეული ყოფილა „სალამანდრას“ საზოგადოებაში.

⁂ კავკასიის სამეურნეო გამოფენის კასსაში შესულა სულ 2,372 თუმნამდე ამ თვეის 28-მდე.

⁂ ტფილისში აქამდე ღია იყო სამხედრო საისტორიო მუზეუმი „ტაძარი დიდებისა“ და დიდ-ძალი ხალხიც დაიარებოდა იქ გამოფენილ ნივთებისა და სამხედრო სურათების სანახავად. ჩვენ შევიტყეთ, რომ „ტაძარი დიდებისა“ ორშაბათიდგან დაიკეტება და აღარავის არ შეუშვებენ შიგ, რადგანაც ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და მუშაობა უნდა დაიწყონო.

⁂ დღეს, 29 ამ თვეისას, კავკასიის სამეურნეო გამოფენაში დანიშნულია ლატარია-ალეგრი სამადლო აზრით.

⁂ ამ დღეებში, სურფ-ნიშანის ქუჩაზე, ივანე იაგორის ძის ყარაჯაევის სახლში, მეორე სართულში, გაჩნდა ცეცხლი, მაგრამ მალე შეამჩნიეს და ჩააქრეს. დაიწვა მარტო ფიცრის კიბე. სახლი დაზღვეული ყოფილა „ნადეჟდას“ დამზღვეველ საზოგადოებაში.

⁂ ამ დღეებში ავჭალის მოედანზე ერთს შეშლილს კაცს დაეჭირა მოსწავლე ქალი თორმეტ-ცამეტის წლისა, ჰპეგავდა ამ ქალს, სჩქმეტავდა და სცემდა. ქალი შეშინებული ჰყიოდა. ხალხი მალე მოგროვდა და რის ვაი-ვაგლახით გააგდებინეს ხელიდგან ქალი. აღმოჩნდა, რომ ეს ქალი სულაც არ იცნობს იმ შეშლილს კაცს. გარდა ამისა, აღმოჩნდა ისიც, რომ ეს შეშლილი ხშირად გამოდის ავჭალის ქუჩაზე და გამოეკიდება ხოლმე ვისმე, ქალი იქნება, ვაჟი, კაცი, თუ დედაკაცი, სწვდება ყველას და დაუწყებს ცემას, თუ მოერიაო. კარგი ის არის, რომ შეშლილი ძრიელ პატარა ტანისაა და ბევრი არ შეუძლიან, თორემ აქამდე დიდს უბედურებას რასმე მოახდენდა. ყმაწვილები მაინც საშიშს მდგომარეობაში არიან, რომ ხელში არ ჩაუვარდნენ ამ საცოდავს კაცს, რომელსაც ჯერ პატრონი არავინ გამოსჩენია. და პოლიცია-კი არავითარს ყურადღებას არ აქცევს ამ ამბავს.

⁂ შილდა (თელავის მაზრა): 17 ამ თვეისას ადგილობრივის მღვდლების მიერ გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი ავგუსტოესის სახლობის სასწაულებრივის გადარჩენის გამო მოულოდნელის ხიფათისაგან. პარაკლისზე დაესწრნენ აგრეთვე აქაურის სასწავლებლის მოწაფენიც თავისის მშობლებითურთ. სასოფლო სკოლის მასწავლებელმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა და უამბო ხალხს 17 ოქტომბრის ამბავი.

⁂ 27 ოქტომბრის ღამეს სამსახურ გარეშე მყოფის პარუჩიკის აბელ ბაყბუქ-მელიქოვის სახლიდგან, რომელიც იერუსალიმის ქუჩაზედ იმყოფება, დაიკარგა სუფრის ვერცხლეული და სხვა ნივთეულობა, 75 მან. საფასისა. ეჭვი შეიტანეს სტავროპოლის გუბერნიისა და ნოვოგრიგორიევის მაზრის სოფ. ალექსანდროვკის მცხოვრებელ ქალზედ ეფემია ბალაბანოვისაზედ, რომელიც ძიძად ყოფილა ბაყბუქ-მელიქოვებისას. ბალაბანოვისა დაპატიმრებულ იქმნა. როგორც შევიტყეთ, გუშინ ბალაბანოვისა ისევე გაუნთავისუფლებიათ, რადგან მოპარულ ნივთებში ზოგიერთი ისევ ბაყბუქ-მელიქოვთ აღმოსჩენიათ სახლში.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ველისციხე, 20 ოქტომბერი. განსაკუთრებით სოფ. ველისციხეს აგრძნობინა გაჭირება წრევანდელმა უმოსავლო წელიწადმა, ვიდრე სხვა რომელსამე სოფელს შიდა კახეთისას. ამოდენა სოფელში, რომელშიაც ექვსასამდე ქართველთა და სომეხთ მოსახლეობაა, უპირველესი და თითქმის ერთად-ერთი ცხოვრების წყარო და სახსარი მევენახეობაა. სოფელს არა აქვს საძოვარი მინდვრები, რომ შეეძლოს საქონლის მოშენება, მოკლებულია სრულებით ტყეს, რომელიც იოლად წაიყვანდა შეშა-ფიჩხით და ვენახებისათვის საჭირო ჭიგვითა და სარით, არ აბადია სამყოფი სახნავ-სათესი მიწები თითქმის ნახევარზედ მომეტებულს ნაწილს ადგილობრივ მცხოვრებლებისას. აგრეთვე ამ სოფელში ვერ შეხვდებით სხვა-და-სხვა სასარგებლო წვრილს წარმოებას, მაგალითად, აბრეშუმის მოყვანას, ფუტკრის გაშენებას, ბაღოსნობასა და სხ., რაიცა დიდს შეღავათს აძლევს გლეხ-კაცობას საზოგადოდ ყველგან და კერძოდ ზოგიერთ კახეთის სოფლებშიაც უმოსავლო წელიწადს.

როცა-კი მოსავალია, ღვთის წყალობა გაქვთ, რომ უხვად ათ თუმნიანების მოხვეტა და მოტანა იცის ველისციხის საფერავის წვენმა. აბა მაშინ დატრიალდება ხოლმე აქ სიმდიდრე, მაშინ გაისმის ხშირად სიმღერა: „ღოთებო, ნეტავი ჩვენა“, ანუ „ვიშე შახა, ვიშე ხანა, ვიშე იალბუზა ია ბუდუ“ და სხვა. დღეს-კი დიდს გაჭირებაშია ჩავარდნილი ველისციხის საზოგადოება. რომ არ გადავამეტო სიმართლეს, მოგახსენებთ, რომ უპირველეს მამულის პატრონ გლეხს ა—ს, რომელიც ყოველს წელს ჰყიდდა 10—20 ურემს ღვინოს და ურემს არა ნაკლებ ორმოცის თუმნისა, წელს მოუვიდა ერთად-ერთი ურემი ღვინო, რომელიც თითონ ოჯახში სასმელადაც არ გახვდება. ერთს უპირველესს მემამულე-მებატონეს, რომლის ზვრები საშუალ მოსავლის დროს ყოველ წელიწადს იძლევა არა ნაკლებ ოც ურემ ღვინისა, წელს მოუვიდა მხოლოდ სამი ურემი ღვინო. იმ გლეხს, რომელსაც ბარაქიან რთველის დროს თავის ვენახებიდგან რამდენიმე ათი ურემი ყურძენი გამოჰქონდა და ურმიან ქვევრებს ავსებდა ველისციხურით, წელს მარტო ორი-სამი გოდორი ყურძენი გამოიტანა ზურგით და სევდიანმა ერთს საათში ამოჰყლიტა ნავში. რა იყო მიზეზი წრევანდელის მოუსავლობისა? ნუ თუ მარტო გაზაფხულის სიცივეებმა, უდროვოდ სუსხმა ამინდმა ავნო ასე, როგორც ბევრისაგან გაიგონებდით აქ?! არა. ეხლა-კი მომეტებული ნაწილი ველისციხელებისა სწორედ დარწმუნებულია, რომ ვაზი დასნეულდა და ამ სნეულებას კიდევ აგრონომებმა, რომლებმაც გასინჯეს აქაური ვენახები, უწოდეს მილდიუ. აი ამ წყეულმა მილდიუმ ამოგვიგდო წელს მამულები.

მერე, ვაზის წამლობას არა ფიქრობს ადგილობრივი საზოგადოებაო, რასაკვირველია, იკითხავთ. დიახაც ჰფიქრობს, რადგანაც დაჰეშმარიტებით იცის, რომ, როგორც მეზობლად საუფლისწულო მამულებში, აგრეთვე ველისციხელ ქვ. კეკელას წამლობამ პატივცემულ გინცენბერგის ხელმძღვანელობით (ეს გინცენბერგი იყო მუკუზანის საუფლისწულო მამულების ღვინის მკეთებელი, ეხლა-კი მსახურობს დირექტორად ტფილისის ბატანიკურს ბაღში) დიდი თვალ-საჩინო ნაყოფი დაანახვა ყველას და გადააწყვეტინა, რომ მართლა როგორც იყოს უნდა უწამლოთ ჩვენს ერთად-ერთს ცხოვრების სახსარს ვაზსაო. გადაწყვეტილი გახლავთ, რომ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწამლონ, მაგრამ რით და რომლის წყაროთი? აი საკითხავი.

ველისციხის საზოგადოებამ ეხლა უნდა მოიშოროს ამ 1889 წლის დარჩომილი სახელმწიფო გადასახადი, უნდა გაუძლვეს სამ მღვდელს თავიანთ მთავრებით, დიაკვნებით და ეკკლესიების სხვა მოსამსახურეებით, მისცეს საზრდო ადგილობრივ ორკლასიან სავაჟო სასწავლებელს, ერთ კლასიან საქალებო სასწავლებელს, სასოფლო სამკურნალოს ზოგიერთი დაპირებული ხარჯი, გაუძლვეს: მამასახლისსა და მოსამართლეებს, გზირებს და ახლა კიდევ თელავის ბანკის „ბალდოევია და იმის კამპანიის“ „ნედოიმკა“-ვალებს თავისის პროცენტებითა და ჯარიმებით. გარდა ამისა უნდა ჩვეულებრივ შეამუშაონ მაინც და მაინც ეს ერთად-ერთი იმედი ვენახები, ესეც ახალის ვალებით, რასაკვირველია.

აი ამიტომ ველისციხის საზოგადოებამ, სხვა ადგილების მიხედვით, სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა რომ გამოიარა, მიართვა არზა და, ტყეს გარდა, ხვეწნითა და მუდარებით სთხოვა მართებლობას შემწეობა ვაზების მოსარჩენად. ამ თხოვნის გარემოება უკვე იციან მკითხველებმა. იმედია, ამ გარემოებას უყურადღებოდ არ დასტოვებს მთავრობა, დროზედ მოეშველება გაჭირებულს ხალხს და ამ უკანასკნელ ცხოვრების წყაროსაც მილდიუს მსხვერპლად არ გახდის.

მახარობელი

---

# უცხოეთი

ინგლისი. ამას წინად სოლტნეიში, გოვარდენს ახლოს, იქაურმა სიტყვიერების საზოგადოებამ გამართა „დარბაზი დასასვენებლად და წიგნთსაკითხველად“ მუშა-ხალხისათვის. დარბაზის კურთხევაზე დაესწრო გლადსტონიც, რომელსაც საზოგადოებამ ადრესი მიართვა. ადრესის პასუხად გლადსტონმა სიტყვა წარმოსთქვა მუშების საყურადღებოდ, განმარტა მათი ყოფა-ცხოვრება და უფრო ის გარემოება, რომ ამ ორმოცდაათის წლის განმავლობაში ბევრ გვარად განკეთილდა მუშა-ხალხის მდგომარეობა.

პირველში გლადსტონმა მოიხსენია, რომ ჩვენის დროების კეთილი ნიშანია თვით ამისთანა სამკითხველოს გამართვა მუშებისათვისაო. «ვიგონებ ჩემს ყმაწვილობასაო, სთქვა გლადსტონმა: მინდა გავიხსენო, ხომ არა იყო-რა მაშინაც იმისთანა რამ, რაც ეხლა თქვენ დააარსეთ, და არა მაგონდება-რა. საკვირველიც იქნებოდა, რომ მაშინ ამისთანა საქმისათვის ეზრუნათ. მაშინ განათლებაც-კი უმრავლესობას სათუო საქმედ მიაჩნდა, სასურველია თუ არა მუშა ხალხისთვის სკოლები დავაარსოთ და პირველი დასაწყისი ცოდნა შევძინოთო. ამ მხრით დიდად და ფრიად საკეთილოდ შეიცვალა საქმე... სკოლის კარი ეხლა ყველასათვის ღიაა. ამას გარდა ეხლანდელი სკოლა სრულიად ის აღარ არის, რაც ამ საუკუნის დამლევს იყო. მაშინ სკოლა უფრო ტანჯვა-ვაების და მტარვალობის ადგილად იყო. ეხლა-კი სულ სხვაა. ეხლა მასწავლებელი ისეთი კაცია, რომელსაც მთელი თავისი ძალ-ღონე სწავლების საქმისათვისა აქვს გადადებული. ხშირად მასწავლებელი გულითა და სულით მოყვარულია თავის საქმისა.

„დიაღ, საკეთილო ცვლილება მუშებისათვის კანონმდებლობაშიაც მოხდა. ძველად კანონი ბრძანებდა, რომ მუშებს ნება არა აქვთ პირი შეჰკრან და, რამდენიც უნდათ, იმდენი მოითხოვონ მუშაობაშიო. თანხისა და ქონების პატრონები ყოვლად შემძლებელნი იყვნენ. შეეძლოთ პირი შეეკრათ და რა გვარი ფასიც უნდოდათ, ის მიეცათ დღიურ მუშებისათვის. მუშებს-კი ნება არა ჰქონდათ ხელი გაეწოდათ ერთმანეთისათვის თავის საქმის გასაკეთებლად, ნება არა ჰქონდათ მოეფიქრათ რამე საერთო და ერთობილის სიკეთისათვის. ამ მხრითაც ბევრი რამ შეიცვალა ამ 70 წლის განმავლობაში, თუმცა-კი დღესაც ბევრგან ძალიან მცირე დღიური ფასი ეძლევათ მუშებს. ასეთს ცვლილებას მოჰყვა გონებრივი წარმატება მუშებისა. ეხლანდელი ინგლისელი მუშა იმდენად მცოდნეა და გონება წარმატებული, რომ თითონვე შეუძლიან უფრო მეტი ცოდნა შეიძინოს და გაიფართოვოს თვალთა-ხედვის ისარი. სწავლისა და ცოდნის შეძენის დროს მუშებმა ორს საგანს უნდა მიაქციონ ყურადღება: ერთი საგანია გაცნობა და კარგად გაგება თითოეულის მიერ იმ მრეწველობის ვითარებისა, რომელშიაც მუშაობა აქვს; მეორეა ცოდნა განათლებულ ერთა ისტორიისა და მეტადრე ინგლისის ისტორიისა“. რაკი ისტორიაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, გლადსტონმა შეადარა ერთმანეთს ინგლისისა და საფრანგეთის ისტორია. ინგლისის ისტორიაში საყურადღებო ის არის, რომ კონსტიტუცია მტკიცეა, საფრანგეთისაში-კი მუდამ ირყევა და ტოკავსო. ინგლისში განუწყვეტლივსა და ზედ-მიყოლებულს წარმატებაშია სახელმწიფო დაწესებულებანი. საფრანგეთში-კი ხშირად იცვლება წესი მართვა-გამგეობისა და თვით სახელმწიფო დაწესებულებანიო. ინგლისში ამოდენა ხანია ისევ ძველი კონსტიტუცია ჰმოქმედობს, საფრანგეთში-კი რევოლიუციის შემდეგ მეცამეტე კონსტიტუციაა დღესაო. მიზეზი ამისი უვარგისი წესი იყო მართვა-გამგეობისა საფრანგეთში: ძველ მთავრობათა უპატიოსნობა და მტარვალობით აღსავსე მართვა-გამგეობამ ამოშალა ფრანგების გონებიდგან აზრი კანონიერებისაო. „ეხლა-კი სასიხარულოა, განაგრძო მოხუცმა ორატორმა: რომ საფრანგეთი თანდათან მტკიცე გზას დაადგა მართვა-გამგეობის საქმეში და ღმერთმა ჰქმნას, რომ საფრანგეთს შეესრულებინოს კიდეც ის დიდი მოწოდება, რომელიც ბედს ურგუნებია მისთვისაო“.

გლადსტონმა დასასრულ ურჩია მუშებს ირლანდიის ისტორიის სწავლაცა. ეს ისტორია მეტად საგულისხმიეროაო. ბოლოს ასე გაათავა თავისი სიტყვა: „უფრო ბლომად იკითხეთ წიგნები, უფრო ბევრი იმეცადინეთო“.

---

## ქორწინება და განქორწინება ამერიკაში

წერილი დე-ვარინისა

(შემდეგი *)

ქმრებიც-კი ხშირად უამბობენ ყველაფერს მოსამართლეებს და ამ გვარად საქმეს საჯაროდ არა ჰხდიან. ვექილები ამტკიცებენ, რომ უმეტესად, თუ ცოლი არის განქორწინებას მოწადინებული ქმრის უდიერის საქციელისა და ღალატის გამო, გამოძიება და დამტკიცებათა მენისთვის თავის ტკივილი მეტი-დაა: ქმარი თითონვე მიდის სასამართლოში და დაუფარავად აღიარებს თავისს დანაშაულსაო. ზოგიერთნი იმასაც-კი ხჩადიან, რომ ცოლის ვექილის სურვილისამებრ სწერენ თავისს გამამტყუნებელს წერილებს გამოძიების შესავსებლად. ამ დავალებისათვის ისინი მხოლოდ იმასა თხოულობენ, რომ განქორწინებული ცოლი პენსიას ნუ მოაკლებსო. ამ გვარად ქმრები ინთავისუფლებენ კიდეც თავს და ფულებიც რჩებათ.

მართლაც-და მოწმების სიჩუმე ძალიან უშლის ხელს სასამართლოს ამისთანა საქმის გადაწყვეტის დროს. ეს ხელის შეშლა უფრო ძალიან დაეტყო ამას წინად ერთს საჩივარს, რომლის დროსაც სასამართლოში წარდგენილი იყო ცოლის ბრალის დამასაბუთებელი კორრესპონდენცია. ქმარს ჩავარდნოდა ხელში ეს წერილები. თუმცა ქალი მეტად ქარაფშუტა იყო, მაინც საყვარლის წერილები რიგზედ შეენახა, ასე რომ ამ წერილებით სასამართლოს ნათლად ჰქონდა თვალ-წინ გადაშლილი მთელი ხრიკები საყვარლობისა. ქმარს დიდი ადგილი ეჭირა საზოგადოებაში და ამიტომ ამ საქმემ დიდი ლაპარაკი და ალიაქოთი გამოიწვია. შედეგი ამ საჩივარისა თითქოს ყველასათვის აშკარა იყო, მაგრამ ქალი-კი უარზედ იდგა და დაბეჯითებით გაიძახოდა, რომ ეგ წერილები სხვისია, ერთმა მეგობარმა ქალმა მომაბარა და არ მინდა დავასახელო, რადგან სხვისი საიდუმლოა და ვერ გავცემ, ვერ გამოვამჟღავნებო. მოწმებიც განგებ არას ამბობდნენ, ჩვენ ამ საქმისა არა ვიცით-რა, ვერც წერილის ხელსა ვცნობთო, ასე რომ საქმე თუმცა ცხადი და აშკარა იყო, მოწმების არ ყოფნის გამო სასამართლო მაინც იძულებული შეიქმნა ბრალდებული გაემართლებინა და უარი ეთქვა განქორწინებას მოწადინებულ ქმრისთვის.

საკვირველი შემთხვევა ჰქონდა ამ მხრივ ბ-ნ ავგუსტ-კუხს, რომელმაც ძალიან მოხერხებული საშუალება იხმარა თურმე, რომ თავიც განეთავისუფლებინა და ამას გარდა კარგი შემლებაც მოეპოვებინა. 1876 წ. კუხმა შეირთო მის ანნა შნაიდერი, ასალგაზრდა და ლამაზი ქალი, რომელიც დიდი ხანი უყვარდა და რომელსაც გაგიჟებით შესტრფოდა. ორის წლის განმავლობაში უსიამოვნება არაფერს გამოუწვევია, ცოლ-ქმარი ნიუ-იორკში სცხოვრობდნენ ყმაწვილის ქალის მშობლებთან. ავგუსტ კუხი ფოტოგრაფი იყო და იმდენი მუშტარიცა ჰყავდა, რომ ცოლს ცოტად თუ ბევრად გვარიანად აცხოვრებდა. მის კუხი პატიოსანი დედაკაცია, პირ-ნათლადაც სცხოვრობს ქმართან და ქმარიც ძალიან ენდობა. 1888 წ. დიდს ქალაქში მეტის-მეტმა სიცხეებმა დაიწყორა და ამიტომ ქმარმა თავისი ცოლი დაბად გაგზავნა თურმე წმინდა ჰაერზედ. თითონვე წაიყვანა მარგარიტსვილეში და ერთს საუკეთესო სასტუმროთა განში დააბინავა. ცოტა ხანს შემდეგ დაბადვე გავიდა თურმე [illegible] ერთი დიდის ხნის მეგობარი კუხისა, მისტერ ლანდემანი, უცოლო კაცი, და წავიდა სწორედ იმ ადგილს ახლოს, სადაც მის კუხი დაბინავდა. მისტერ კუხმა სთხოვა თურმე, [illegible] ხარ და ანახულე ჩემი ცოლი და ასეირნე აქეთ-იქით, მარტო ყოფნით არ მოიწყინოსო.

ლანდემანმა შეუსრულა თურმე დანაპირები, დადიოდა კუხის მეუღლესთან და ეს ქალიც თავის ქმართან მიწერილს წერილებში აქებდა ლანდემანს, ცას იყო დაწყებული იმისის თავაზიანობითა და ზრდილობიანობით. იგი სწერდა, რომ თქვენი მეგობარი კვირაში ორ-სამს დღეს ჩემთან ატარებს და მარგარიტსვილის ახლო-მახლო მასეირნებსო. კუხი დიდი ხანია იცნობდა ლანდემანს და მადლობელიც იყო იმისი ასეთის დავალებისა და სამსახურისათვის.

ერთს შაბათს დღეს კუხს უნდოდა ცოლი ესიამოვნებინა მოულოდნელის მისვლით და გასწია თურმე მარგარიტსვილში. ლანდემანიც იქ დახვდა. მეგობარმა აუხსნა ამ კაცს, რომ ჩემი საადგომი არ მომეწონა და სამშაბათს გადმოვედი აქაო. კუხმა ამ სიტყვებს არავითარი ყურადღება არ მიაქცია თურმე და წავიდა ცოლთან, რომელმაც გააგებინა, რომ ლანდემანი ჩვენსას ეს არის ეხლა გადმოვიდაო. ამ უსწორ-მასწორობამ კუხს მაშინვე ეჭვი დაუბადა თურმე. რა საჭირო იყო სიცრუე ამ უბრალო საქმისათვისაო? კუხმა თვალ-ყურის დევნება დაუწყო თურმე ორივეს და უფრო შეშფოთდა. ცოლი გულ-ცივად დაუხვდა თურმე ქმარს და არაფრად ესიამოვნა, როგორც ეტყობოდა, ის გარემოება, რომ კუხი რამდენსამე დღეს აპირებდა ცოლთან დარჩენას. ამას გარდა ნაცნობების ზოგიერთი გადაკრული სიტყვებიც რომ მოისმინა, ერთიანად დარწმუნდა, რომ გაუბედურებულიყო. მიხვდა, დარწმუნდა კუხი, მაგრამ გარეგნივ არად შეიმჩნია, თავი ისე მოიკატუნა, ვითომ-და აქ არაფერიაო, წავიდა ნიუ-იორკში და ცოლი და ლანდემანი მშვიდობიანად დასტოვა.

დაბრუნებისთანავე დაუყოვნებლივ წავიდა თურმე ამისთანა საქმეებში გამოცდილს და გამობრძმედებულს ვექილისაკ ფალკთან და საქმის ყოველივე გარემოება უამბო. ფალკმა გამოუცხადა, რომ აშკარაა, თქვენი ცოლი დამნაშავეა, გლალატობთ, მაგრამ მარტო ამ გარეგანის სიაშკარავით საქმეს თავს ვერ მოვალევა, ასე უბრალოდ საჩივარს ვერ დავიწყებთ. თუ გსურს უეჭველად მოვიგოთ ეგ საქმეო, უფრო თვალ-საჩინო საბუთი რამ მომიტანეთ და მე ვიკისრებ მაგ საქმის დამთავრებასაო. როგორ გამოუძებნა მერე? კუხმა დაჰპირდა მოვიფიქრებო, თუმცა ჯერ-კი არაფერი ჰქონდა გადაწყვეტილი. ერთის კვირის შემდეგ კვლავ მივიდა ვექილთან და თავისი განზრახვა უამბო. მერე ვექილიც დაიყოლია და თან წაიყვანა მარგარიტსვილში.

ღამის ორი საათი იყო, როცა მივიდნენ და კუხმა ფალკი ცოლის ოთახში შეიყვანა. კუხის ცოლი თავის საწოლში არ იმყოფებოდა. ეს ორნი ადგნენ და უხმაროდ ლანდემანის ოთახში შევიდნენ. ქმარმა დიდის მოხერხებით დაასვენა სურათის გადამღები მაშინა, ელექტრონით გაანათა ის მხარე ოთახისა, სადაც საწოლი იდგა, და ერთს წუთს გადაიღო სურათი ორის შეშინებულის და დაფეთიანებულის, ლოგინიდგან წამომხტარის ადამიანისა. ამის შემდეგ მუშტებით ეძგერა ცოლის საყვარელს. როცა ყველანი დაწყნარდნენ და ფალკმა გადაღებული სურათი ჰნახა, გამოაცხადა, რომ ეხლა-კი, ეჭვი არ არის, საქმე დამშიაო. კუხმა მართლა მოიგო თურმე სასამართლოში საქმე და ცოლი თავიდგან მოიშორა. ამას გარდა რაკი ჰქვეყნად გავარდა ამისი ამბავი, იმისმა საფოტოგრაფიომ დიდი მუშტარი მიიზიდა. ეხლა კუხი გამოჩენილი ფოტოგრაფია და ბევრი მოტყუებული ქმარიცა ჰყავს მუშტრად, რომელნიც დიდს ფულსაც აძლევენ, ოღონდ-კი ისეთი სურათი აგვიღე, როგორიც შენის ცოლისა და იმის საყვარლისა გადიღეო.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 225, 226, 227 და 228.

---

## გამოსადეგი ცნობანი

დაკავშირება გატეხილის ქაშანურისა და საქსონის ჭურჭლისა. სხვათა შორის, ერთი სულ უბრალო ღონეა, რომ დააკავშიროთ გატეხილი ნაწილები საქსონის ჭურჭლისა: უნდა აიღოთ კვერცხის ცილა და ძრიელ გასთქვეფოთ. ასე გათქვეფილს ცილას ერთის დღე-ღამის განმავლობაში დასდებთ ცივს ალაგას. მერე აურევთ ცოტ-ცოტა დაუწვავს კირს და აზელავთ ცომივით. ამ ცომს ოდნავ წაუსვამთ გატეხილ ჭურჭლის ნაწილებს, რაც შეიძლება მალე, რომ ცომი არ გახმეს.

დიდის ხეების გადარგვა. დიდი ხეები ასე უნდა გადაირგოს: უნდა აარჩიოთ ისეთი ხეები, რომელიც ჩრდილში არა სდგას. გარშემო შემოთხაროთ თხრილი და გადასჭრათ უმთავრესი ფესვები. წვრილები-კი ხელუხლებელი უნდა დასტოვოთ. მერე თხრილს ისევ უნდა მიაყაროთ თავისივე მიწა. თუ გადასარგველია მუხა, ცაცხვი, იფნა, თელა, თხრილს შეიძლება მიწა არც-კი მიაყაროთ. ასე უნდა მოიქცეთ ერთის წლის წინად. მერე როცა ხეს ფურცლები გასცვივდება, უნდა შეაჭრათ კიდევ ფესვები ოქტომბერში, ან ნოემბერში. გადატანის დროს ხეს ფესვები არ უნდა გაუფუჭოთ. ჩასარგველად დიდი ორმო უნდა გაუთხაროთ, რომ ფესვები თავისუფლად მოთავსდეს შიგ. ფესვებს უნდა მოაყაროთ დამწვარ ფოთლების მიწა, ქვიშა-ნარევი, და მერე თავისისავე მიწით ამოავსოთ ორმო. ხე წყლით უნდა მორწყოთ, რომ მიწა დაჯდეს. ძირში უნდა შემოუწყოთ თივა, ან ბურდო.

---

# დეპეშა

27 ოქტომბერი

პეტერბურგი. ჯილდო დაენიშნა იმას, ვინც ყველაზედ ადვილად გასაგებ თხზულებას დასწერს იმის შესახებ, რა ზარალი მოაქვს ჩვენთვის სიფილისსა და როგორ უნდა გაუფრთხილდეს კაცი ამ სატკივარს. ყველაზე საუკეთესო თხზულების დამწერს მიეცემა 1500 მან., მეორე ჯილდო 1000 მან. და მესამე—500. პროგრამა დაბეჭდილია „მართებლობის მოამბეში“.

საერო განათლების მინისტრის იმ უქვეშევრდომილესს მოხსენებას, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა პარაკლისი გადაიხადეს სწორედ იმ ადგილას, სადაც სამეფო მატარებელს უბედურება შეემთხვაო, ხელმწიფე იმპერატორმა თავისის საკუთარის ხელით დააწერა: «დიდად მესიამოვნა და გთხოვთ ჩემი გულითადი მადლობა გადასცეთ».

გაზეთები ამბობენ, რომ ოთხმოც მილიონის სესხზედ სულ $2^1/_2$ მილიარდის მსურველი აღმოჩნდაო. ამიტომ აზრად აქვთ უპირატესობა მცო-

რე ფულის პატრონებს მისცენ და ბილეთი მხოლოდ იმას აყიდვინონ, ვინც ერთისა და ან ორის ბილეთის შეძენის სურვილს გამოაცხადებს.

ათინა. მემკვიდრე ცესარევიჩი აქედგან კვირას წაბრძანდება.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ოქტომბ.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულნი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 7 | 64 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 152, | 62 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | 1 | 11 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | „ | — | „ | 242 | |
| —მეორისა . . . . | — | „ | — | „ | 230 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუ̂ნთ (1889) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა—481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე—45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

ოქტომბერი 31 დღით არის

29 დღე კვირა. წმ. მოწ. ანასტასია რომაელისა. კათოლ. ნარგიზასი.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—43, ჩადის 4—45. მთვარე 18 დღისაა.

30 დღე ორშაბათი. წმ. ზინობისა და ზინობასი, დისა მისისა. კათოლ. წმ. ზინობიასი. სომეხ. წმ. ანასტასიასი და სხვათა. მაჰმად. მე-18 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1307 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—45, ჩადის 4—44. მთვარე 19 დღისაა.

31 დღე სამშაბათი. წმ. ეპიტამისა. კათოლ. ვოლფიანასი. სომეხ. წმ. სებასტიანთა მოწამეთა.—სამხედრო ბეგარის შემოღება საქართველოში, 1887 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—46, ჩადის 4—43. მთვარე 20 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. $3^1/_2$ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ $3^1/_2$ „
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 „
ღორის ხორცი . . . . . „ „
„ 2 „ „ „ „

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კადაზე გემები.

# განცხადებანი

სამოსწავლო მთავრობის ნებადართვით

**მ. მყურტაგი**

გაჰმართავს 7 ნოემბრიდამ პირველ კლასიკურს გიმნაზიაში

ინგლისურის ენის

სასწავლო კურსებს

ყველა შუათანა სასწავლებლის შეგირდებისათვის ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკეობით საღამოს $5^1/_2$ საათიდამ. ფასი თვეში თითოეულს შეგირდზე 5 მან. მსურველთ ეხლავე უნდა შეუკვეთონ სახელმძღვანელო წიგნი ნუროკისა.

(3—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება ი. გოგებაშვილის რვეულები №№ 1, 2, 3 და 4. თითო რვეული ღირს 5 კაპეიკი. ვინც 100 ცალს იყიდის ერთად, რვეული დაეთმობა 4 კაპეიკად.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომოურისა. . . | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. . | „ | 50 |

ახლად გამართული ფოტოგრაფია

ა. ს. როინაშვილისა

მთავარმმართებლის ეკლესიის მოედანზედ, სარაჯოვის სახლში.

მიიღებს ყოველ გვარს ფოტოგრაფიულს საქმეებს იაფისა და ზომიერის ფასით.

იქვე იყიდება სხვა-და-სხვა გვარი შესანიშნავი სურათები საქართველოსი და მთელის კავკასიისა.

(20—17)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

იყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა. . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| ყდით . . . . . . . | „ | 70 |

დაზღვევა სიცოცხლისა

ზღვევის საზოგადოებაში, სახელწოდებით

**„რუსეთი“**

უმაღლესად დამტკიცებულია 1881 წ.

დაზღვევა და უზრუნველ-ყოფა

ქონებისა და ფულისა მემკვიდრეთათვის;
პენსიისა ქვრივთათვის;
ქონებისა და ფულისა, რომელიც მოხუცებაში მიეცემა დამზღვეველს;
პენსიისა მოხუცებულობაში;
მზითვისა გასათხოვარ ქალთათვის;
სტიპენდიისა ყმაწვილებისათვის;
ყოველ-წლიურ შემოსავლისა სიკვდილამდე.

დამზღვეველთ წილი აქვთ საზოგადოების მოგებაში.

1 იანვრამდე 1889 წ. საზოგადოებაში „რუსეთი“ დააზღვია და უზრუნველ-ჰყო 20,107 კაცმა 56.795,020 მანათის ფული და ქონება.

მოგება დაზღვევათა 1887 წელს იყო 12%, თხოვნა ზღვევისა და ყოველ-გვარი ცნობა ზღვევის შესახებ უნდა გაეგზავნოს მართველობას პეტერბურგს, Большая морская, № 13. ტფილისის აგენტებს ვ. ლ. პოტკოვსა და ი. ბ. გოლდფარბსა და საზოგადოების სხვა საავენტოებს იმპერიის ქალაქებში.

ბროშურები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ ყველას, ვისაც სურს, უფასოდ ეძლევა და ეგზავნება.

სოლოლაკის ქუჩა, სახლი თაქ. მელიქოვისა, ირაკლი-გრუზინსკის სახლის პირდაპირ.

(10—9)

**ქოქორი**

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შესწორებული გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და იყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ივერია**

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით იმას მხოლოდ შემდეგი თვეის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში.

**დედა ენა და ბუნების კარი**

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

იყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს **ექვსი შაური** (30 კაპ.), ბუნების კარი—**თხუთმეტი შაური** (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად **ნაღდ ფულზე** იყიდის ოც-და-ათ **ცალს** დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის **ათს** ცალს ბუნების კარისას ნაღდ ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს **ცალს**,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასს და მეტს,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ფოსტით ჩამოსული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ 28-го Октября, 1889 г. სტამბა ექ. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Мески. пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.